- *Small defects are repaired by the Buyers.*

- *The prices are quoted CIF.*

In connection with the general impersonal tone of expression, it should be noted that impersonal passive constructions are frequently used with such verbs as *suppose, assume, expect, conclude, point out*.

However, the emotive tone is not categorically excluded from business letters. There may be statements, which being backed up by irritation, strong belief or reaction to the situation, call for the use of some emotionally coloured words. It is normal and natural in these cases to use such words and word-combinations as *marvelous, wonderful, great trouble, with great regret, to be at a loss (to understand), an awkward position, etc.* We must agree however that overuse of emotionally coloured words in business letters will create the effect of personal involvement, concern or ambiguity which in the majority of cases should be avoided.

Conclusion

For detailed treatment of business documents (letters, memoranda of understanding, agreements, contracts), we suggest the students to write papers on particular aspects of the language of these documents (the terminological system, the stylistic functioning of modal verbs, the syntax of business documents, etc.). The aim is to analyse stylistic problems in a systematic manner, as we try to teach students to overcome in the course of their business letter writing practice.

Literature

1. Brissova E. & Shalifova O. (1997): Do Your Business in Proper English (A Manual of Business English for Graduate Students). Samara
2. Galperin I. R. (1981): Stylistic. Moscow
3. Гвишиани Н. Б. (1986): Язык научного общения (Вопросы методологии). Москва.
4. Holett V. (1994). Business Opportunities. Oxford
5. Davies P.& Pearse E. (2000): *Success In English Teaching*. Oxford Handbooks for Language Teachers. Oxford University Press

საქმიანი კორესპონდენციის ანალიზის სწავლების მნიშვნელობა სტილისტიკაში

მარინა ზორანიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ.: 593 783 826

E-mail: marinaziger@gmail.com

რეზიუმე

სტატია ეძღვნება საქმიანი წერილების ენის ანალიზის სწავლებას სტილისტიკის კურსში. ი. რ. გალპერინის კლასიფიკაციის შესაბამისად ჩვენ საქმიან ენას ოფიციალური საბუთების ფუნქციური ქვესტილის ვარიანტად მივიჩნევთ. კომუნიკაციის ამ ტიპის მთავარი მიზანია შექმნას პირობები, რომლებიც აკავშირებენ საქმიანი ურთიერთობის ორივე მონაწილეს და განსაზღვროს ამ სტილის თავისებურებები. სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საქმიანი კორესპონდენციის ენის ანალიზის სწავლება სტილისტიკის შესწავლის პროცესში.

საკვანძო სიტყვები:

საქმიანი კორესპონდენცია, საქმიანი წერა, კომუნიკაცია, პოლისემანტური სიტყვები, ტერმინოლოგიური შესიტყვებები.

Важность обучения анализу деловой корреспонденции в стилистике

Зораян Марина Георгиевна

Грузинский технический университет

Департамент либеральных наук

Ул. Костава, 77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел.: 593 783 826

E-mail: marinaziger@gmail.com

Резюме

Работа посвящена обучению анализу языка делового письма в курсе стилистики. Следуя классификации И.Р. Гальперина, мы считаем язык делового письма вариантом подстиля официальных документов. Основная цель этого типа коммуникации заключается в том, чтобы установить условия, связывающие обе стороны в деле (бизнесе) и предопределить особенности данного стиля. В работе даны рекомендации по вопросу обучения студентов анализу деловой корреспонденции в ходе изучения стилистики.

Ключевые слова:

деловая корреспонденция, деловое письмо, коммуникация, полисемантические слова, терминологические словосочетания.

La phraséologie de «Couleur» dans les textes littéraires des écrivains français contemporains

Marine Sioridze

Université d'État Chota Roustavéli,

Département des études des langues européennes

35, rue Ninoshvili, 6010 Batumi, Géorgie

Téléphone portable: 599 240 656

E-mail: msioridze@yahoo.fr

Resumé

L'étude que nous venons de présenter montre que les textes littéraires sont assez riches en expressions phraséologiques contenant des éléments indiquant des couleurs ayant une connotation socioculturelle. Les connotations socioculturelles sont souvent liées à des stéréotypes, c'est-à-dire à des opinions toutes faites. La phraséologie étant extrêmement riche et représentant une sphère codée et stéréotypée de la langue présente un intérêt particulier car il véhicule à l'aide des moyens lexicaux l'évolution de la société. «Le stéréotype présente une constante autour de laquelle gravitent toutes les définitions» (Amossy 9). Le lexique des couleurs est riche de connotations affectives et socio-culturelles et pour cette raison présente un intérêt particulier pour la description de la sensibilité et de l'évolution sociale d'une époque et d'une culture.

Mots clés:

expression, idiom, connotation, contexte, discours, société, stéréotype, culture.

Introduction

Notre étude actuelle porte sur les expressions idiomatiques aux **éléments constitutifs faisant référence** à des noms de couleurs vu le fait que chaque peuple crée des symboles colorés qui trouvent leur représentation dans la langue et surtout dans ses formes stéréotypées, fixes et figées. Il traduit les mentalités et les valeurs qui dominent la société tout au long de son histoire et laissent leur empreinte sur les expressions et les locutions courantes d'origine

familière, poétique ou savante que nous rencontrons souvent autant dans les conversations quotidiennes que dans les textes appartenant aux différents auteurs - journalistes et écrivains.

Le corpus étudié, composé de textes des écrivains français, nous offre des exemples pour illustrer les différents cas d'actualisation des expressions colorées en contexte allant de l'emploi de celles-ci dans leur sens usuel, comme le prouvent les exemples à des défigements de toutes sortes cités et commentés plus loin.

(1) *Nous sommes dans un foutu pétrin, c'est entendu: pas une raison, tout de même, pour se croiser les bras et leur laisser carte blanche!* (R. M. du Gard)

(2) *De quel autre raccord était-ce le prétexte? Mais un bon fils n'a point de méfiance: Ce que décidera ma mère sera parfait: je lui donne carte blanche.* (H. Bazin)

(3) *Pour les cas d'aide particulière, il laissait carte blanche à Annette, qui cependant lui en tenait registre régulier.* (R. Rolland)

Ce qui est commun pour les exemples cités, c'est le type de contexte dans lequel les expressions s'actualisent. Dans les cas présents, le contexte et notamment les éléments qui précèdent les expressions servent de marqueurs qui suggèrent l'interprétation idiomatique des syntagmes donnés.

(4) *Un pays de cocagne, en un mot. Absolument dépaysé, je passai au bleu la prière du matin - dans une cure, Seigneur!* (H. Bazin.)

(5) *De quoi ai-je l'air? Roudoudou, sentiment, fleur bleue, non merci! Perdre ma force, non, merci!* (H. Bazin)

(6) *... En vérité, il noyait là sa timidité de jeune bourgeois protestant, et sa nostalgie de petite fleur bleue et de jeune fille à la Francis Jammes.* (J.-J. Oberlé)

Dans les exemples cités, nous avons non seulement des éléments préposés qui déterminent

l'interprétation au sens idiomatique, mais également des éléments post-posés qui ajoutent à la lexie complexe une valeur connotative péjorative en association avec les lexèmes qui précèdent cette unité.

(7) *Je ne suis pas pauvre: Je suis un démuné, pour ne pas dire un déclassé. On ne s'inquiète pas des gens inquiétants. On ne s'inquiète pas... Ingratitude noire! on s'inquiète de moi quelque part. (H. Bazin.)*

L'exemple 7 illustre une situation où le contexte immédiat - On ne s'inquiète pas... *Ingratitude noire!* on s'inquiète de moi quelque part - suggère la compréhension de la collocation dans son sens usuel *ingratitude noire* c'est-à-dire *ingratitude la plus odieuse*, alors que le contexte plus éloigné nous fait comprendre qu'il ne s'agit pas vraiment d'ingratitude et que cette expression est utilisée à des fins stylistiques pour traduire l'ironie de l'auteur et mettre en valeur les différentes acceptions du verbe s'inquiéter actualisées en contexte, dont la première traduit plutôt une attitude positive - prendre soin, se soucier par affection, tandis que la deuxième veut dire - s'intéresser par méfiance, par curiosité.

Le même type de rapports peut être observé dans l'exemple 8 où les éléments qui précèdent et qui suivent l'unité phraséologique en contexte contribuent à l'actualisation de son sens usuel :

(8) *Le père disparu et remplacé, nous payâmes les pots cassés. Recrudescence de vexations. Nouvelles réformes. Folcoche nous a toujours considérés comme responsables des ennuis survenus à la maison. Or La Belle Angerie connaissait la série noire. Le scandale de la soutane blanche était apaisé que se produisit l'incident des armoires. (H. Bazin.)*

Le contexte pré-posé nous offre les marqueurs - recrudescence, ennuis survenus - qui suggèrent l'interprétation de *série noire* comme «suite d'événements pénibles», alors que les éléments post-posés expliquent de quelle sorte d'événements il s'agit: scandale, incident.

Partie principale

Parmi les manipulations discursives les plus fréquentes, nous pouvons souvent observer le cumul

du sens propre et du sens figuré ou, plus exactement, du figement et de l'idiomaticité d'un syntagme figé d'une part, et d'autre part, de l'autonomie partielle ou totale de ses composants obtenue par le processus de découpage différent qui rend à chacun des éléments une liberté syntaxique et sémantique totale ou relative, ce qui a comme conséquence un défigement partiel ou complet de cette unité.

(9) [...] *je n'ai pas eu de véritable famille et la haine a été pour moi ce que l'amour est pour d'autres. La haine? Est-ce bien sûr? Disons plutôt: je connais un petit garçon, je connais un adolescent qui forçait son talent et qui jouait au noir au temps de la Bibliothèque rose. (H. Bazin.)*

Cette phrase nous offre un exemple de juxtaposition de deux lexies complexes basée sur le jeu d'opposition de deux couleurs *noir* et *rose* ayant une forte connotation symbolique. Dans beaucoup d'expressions *noir* est employé dans son sens figuré symbolisant entre autres l'état dépressif, tristesse, malheur. Ce sens s'actualise dans les différentes unités phraséologiques où ce mot fonctionne comme adjectif, parmi lesquelles : *avoir (se faire) des idées noires, noirs soucis, noirs pressentiments, l'humeur noire, un jour noir, une série noire*, ou dans les locutions où il fonctionne comme substantif symbolisant également la mélancolie, le pessimisme, la tristesse - *en noir, au noir: voir tout en noir, pousser les choses au noir, avoir le noir*.

A son tour, *rose* est associé dans les expressions aux sentiments totalement opposés - optimisme, joie, gaieté comme par exemple dans les lexies : *voir tout en rose, être dans ses roses, tout n'est pas rose*. Ainsi, l'opposition de ces deux couleurs traduit l'opposition de sentiments contradictoires. Cette opposition en reprend une autre qui la précède en contexte - haine/amour. En même temps, l'expression *Bibliothèque rose* qui, à l'origine, indique une série de livres d'enfants, en association avec le mot *temps* dont elle est le complément de nom, prend par extension le sens *enfance* : temps de la *Bibliothèque rose* - enfance. Le sens *enfance* est soutenu encore par les lexèmes *enfant, adolescent*. Le défigement dans

ce cas n'affecte pas le côté formel, car la structure reste intacte, mais il se réalise au niveau sémantique grâce à l'opposition des sèmes des éléments constitutifs leur donnant une certaine autonomie sémantique d'un côté, et menant à l'acquisition d'un sens nouveau par une des lexies opposées, de l'autre côté.

Le même procédé d'opposition de deux lexies complexes dont les éléments constitutifs sont traditionnellement aux antipodes est quelquefois utilisé par l'écrivain dans le texte pour mieux les mettre en évidence et en faire mieux ressortir le contraste. L'exemple suivant illustre également un cas de défigement qui ne se produit que sur le plan sémantique n'affectant point la structure de l'expression. Ce type d'actualisation des expressions phraséologiques confirme le fait que «l'unité phraséologique, quelle que soit son extension formelle, comme toute unité linguistique, se prête à l'ambiguïté. Seul le contexte permet de la désambiguïser (ou non – si l'ambiguïté est délibérée), et contribue à la construction du sens» (Le Bel 61). Ainsi, les auteurs placent délibérément les expressions dans de pareilles conditions pour jouer sur leur caractère ambigu en cumulant leur sens propre et leur sens figuré ou plutôt le sens propre au figement et à l'idiomaticité de l'entité avec une certaine autonomie sémantique de ses constituants.

(10) *Mélynes est de famille catholique ... Il est venu à la religion réformée voici quelques années à peine ... Le scandale fut très grand parmi les siens. Mélynes est la bête noire, la brebis galeuse des hommes de son ancien bord. (F. Walder)*

(11) *Je n'ai pas changé d'opinion. J'espère fermement vivre assez pour pouvoir reprendre un jour la lutte contre le militarisme. Ça reste ma bête noire!.. (R. M. du Gard)*

(12) *La bête noire, l'opprobre de ce temps, le génie malfaisant de la franc-maçonnerie s'appelait M. Herriot, l'homme qui avait eu le toupet de dire, en plein congrès radical tenu par bravade en la bonne ville blanche d'Angers, que le coffrefort dans l'Ouest est souvent scellé d'une hostie. (H. Bazin.)*

Dans *bête noire* signifiant «personne que l'on

déteste, que l'on ne peut plus supporter», l'adjectif péjoratif connote l'antipathie qui existait déjà dans l'expression ancienne *être la bête de qqn*. La désambiguïstation s'effectue grâce au contexte dit explicite ayant un marqueur post-posé qui, possédant des sèmes communs avec l'unité phraséologique, contribue à l'actualisation, dans ces conditions, du sens idiomatique ou, comme dans ce cas-ci, plusieurs marqueurs qui explicitent le sens de l'unité en question, et permettent de le décoder. Le sens de l'expression «une personne détestable» est repris ultérieurement par le lexème *opprobre* – «sujet de déshonneur, de honte, d'ignominie», et le syntagme *le génie malfaisant*, qui contiennent également le sème «quelqu'un de mauvais» et confirment ainsi l'interprétation idiomatique de l'unité. Le syntagme figé *bête noire* forme une antithèse avec le groupe de mots libre contenant une métaphore *bonne ville blanche*. Ainsi, le sens idiomatique «personne mauvaise, détestable» de l'expression phraséologique est opposé au sens du premier adjectif - *bonne*, alors que la présence du second adjectif *blanche* mène à un certain défigement de la première expression, car, ensemble avec le premier adjectif, elle contribue à une lecture compositionnelle de celle-ci. L'opposition entre le noir et le blanc de cette antithèse sert à traduire une autre opposition plus générale, universelle, celle entre le mal et le bien. Ainsi du côté du mal sont rangés : *bête noire*, *l'opprobre de ce temps*, *le génie malfaisant de la franc-maçonnerie* dénotant tous la même personne – *M. Herriot*, *l'homme qui a eu le toupet de dire qqch.* et dotés tous d'une forte connotation négative. Du côté du bien se range une *bonne ville blanche* où, à première vue les deux adjectifs sont en redondance. Cependant, la présence du mot *franc-maçonnerie* indexant sur l'isotopie politique permet d'interpréter le lexème *blanche* non seulement comme caractère de ce qui est bon, mais plutôt comme royaliste, monarchique. Cette interprétation, à son tour, met en question la construction précédente et mène le lecteur à douter que vraiment il s'agisse d'un homme mauvais, découvrant ainsi l'attitude ironique de l'auteur.

De cette façon, on comprend la fonction affective de l'unité phraséologique qui «permet de faire plus que ce qu'elle permet de dire, de signifier [...]». C'est dans ce sens que l'on peut dire que les **énoncés phraséologiques** se trouvent à la frontière entre la langue et le discours, dans la mesure où leur interprétation oblige à **faire une lecture, en quelque sorte, métalinguistique**» (Le Bel 60).

L'exemple suivant s'inscrit également dans la liste des phrases dans lesquelles les expressions figurées forment une opposition.

(13) *Un premier militaire entre, solennel, précédé par une paire de gants blancs. Son manteau ressemble à une reliure austère et la double raie rouge du pantalon à de riches signets. À son flanc oscille la miroitante épée par quoi les «armes savantes» expriment leur nostalgie des armes blanches. Haut perché, règne le bicorné, qui hésite à s'affirmer couvre-chef de diplomate, d'académicien ou de gendarme endimanché. Mais les lunettes, cercles tangents, proclament que le bicorné est bien celui de l'X et, plus précisément, celui de Marcel, nouveau polytechnicien... (H. Bazin.)*

Dans ce fragment l'auteur emploie des expressions d'après le **même modèle afin d'obtenir le parallélisme** des structures formant une opposition. La première est basée sur une métaphore qui est bien lexicalisée depuis deux siècles, car les épées sont les attributs obligatoires de l'habit solennel des académiciens français, faisant ainsi allusion à la société savante, académique. De plus, l'expression *armes savantes* est utilisée pour désigner l'artillerie et le génie dont la formation exige une forte préparation scientifique et, notamment, celle en mathématiques, et autres sciences exactes, étant ainsi plus proches du domaine scientifique et opposée, **dans ce fragment**, à d'autres domaines militaires, suggérés par l'expression *armes blanches*. Cette opposition est soutenue par le contexte où les termes tels que : *militaire, pantalon à double raie rouge, épée, bicorné* indexent sur l'isotopie militaire, tandis que *reliure, signets* faisant allusion à un livre, ainsi que *académicien, l'X, polytechnicien* imposent l'isotopie

science. La confusion de ces deux domaines qui se traduit dans l'habit du personnage et la présence de **l'épée permet à l'auteur de jouer sur le sens des expressions** employées.

(14) *Le spectacle, pour moi ahurissant, de la banlieue vint me dédommager. [...] J'ai de solides préjugés esthétiques, et la plupart de ces maisons ne me semblent dignes que d'épiciers en retraite. [...] J'ignore encore que la prodigalité de l'espace est le premier des luxes bourgeois et que le prix du mètre carré de terre crayonnaise autorise des ceintures vertes, que ne peut s'offrir la «ceinture rouge». (H. Bazin.)*

La *ceinture verte* est un espace de verdure entourant une ville, alors que *ceinture rouge* est une distorsion de l'expression *banlieue rouge* c'est-à-dire la banlieue ouvrière de Paris, le rouge symbolisant le prolétariat. L'interprétation du mot *ceinture* comme banlieue est conditionnée par le contexte suggérant dans lequel nous avons déjà rencontré ce marqueur qui sert d'interprétant de l'expression modifiée.

Cette substitution devient également possible grâce à la présence dans les deux lexèmes du sème commun «qui entoure une ville» : 1. un espace de verdure qui entoure une ville ; 2. ensemble des agglomérations qui entourent une grande ville (*Petit Robert*).

L'étude que nous venons de présenter montre que les textes littéraires sont assez riches en expressions phraséologiques contenant des éléments indiquant des couleurs ayant une connotation socioculturelle. Comme nous l'avons vu, les connotations socioculturelles sont souvent liées à des stéréotypes, c'est-à-dire à des opinions toutes faites. Il y a des avantages à utiliser des mots à connotations socioculturelles dans un texte. Ces mots et expressions constituent en somme un argument de poids aux idées véhiculées, d'autant plus que cette oeuvre est une création qui critique les visions, les traditions et les habitudes de la société du XXe siècle. Ce fait se manifeste par la **manière d'écrire de l'auteur qui, en cassant les stéréotypes langagiers, exprime par cela aussi son attitude à l'égard de la société méprisée.**

Conclusion

L'étude que nous venons de présenter montre que les expressions figées à composants indiquant les couleurs ne sont pas rares dans les textes littéraires et servent souvent de matériel pour toutes sortes de manipulations discursives vu leur force connotative affective et socio-culturelle et la richesse des structures dont les mots de couleur font partie. Les expressions colorées véhiculant les stéréotypes, ces «représentations collectives» qui meublent notre esprit et «à travers lesquelles nous appréhendons la réalité quotidienne et faisons signifier le monde» (Amossy 9) permettent à l'auteur non seulement de construire le texte autour de «ces noyaux durs», mais aussi, en les cassant, de construire de nouveaux rapports entre les éléments du texte où alternent le doxal et le paradoxal, le figé et le défigé, le stéréotype et l'originalité, le social et l'individuel, la reproduction et la créativité.

Littérature

1. Amossy R. (1991): *Les idées reçues. Sémiologie du stéréotype*. Paris : Nathan
2. Bernet Ch. (1992): *Sur quelques expressions du français populaire d'aujourd'hui et leurs variantes en Grammaires des fautes et français non conventionnel*. Presses de l'École Normale Supérieure
3. Gonzalez R. Isabelle (2002): *Phraséologie du français*. Le Mirail : Presses universitaires du Mirail, Université de Toulouse
4. Khovanskaia Z, Dmitrieva L. (1991): *Stylistique française*. Visch. Škola, Moscou
5. Petit R. (2004): *Dictionnaire de la langue française*, sous la redaction de J.Rey-Debove et A.Rey. Paris
6. Rey A., S. Chantreau (1993): *Dictionnaire des Expressions et Locutions*. Paris: Le Robert
7. Rey I. G. (2002): *La Phraséologie du français*, Presses Universitaire du MIRAIL, Université de Toulouse. Le Mirail

«ფერის» ფრაზეოლოგია თანამედროვე ფრანგი მწერლების ლიტერატურულ ტექსტებში

მარინე სიორიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
ნინოშვილის ქ. №35, 6010, ბათუმი,

საქართველო

ტელ.: 599 240 656

E-mail: msioridze@yahoo.fr

რეზიუმე

ნაშრომი, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ, გვიჩვენებს, რომ ლიტერატურული ტექსტები საკმაოდ მდიდარია “ფერის” შემცველი ფრაზეოლოგიური გამოთქმებით, რომლებსაც აქვთ სოციალურ-კულტურული კონოტაციები. სოციალურ-კულტურული კონოტაციები ხშირად დაკავშირებულია სტერეოტიპებთან ფრაზეოლოგია მეტად მდიდარია და წარმოადგენს რა მოცემული ენისა კოდირებულ და სტერეოტიპულ სფეროს, ავლენს დიდ ინტერესს, რათა მოახდინოს საზოგადოების ევოლუციის ტრანსპორტირება ლექსიკური საშუალებების დახმარებით. “სტერეოტიპი წარმოადგენს კონსტანტას, რომლის გარშემო ბრუნავს ყველა სხვა განმარტება“ (Amossy 9). ფერის ლექსიკა მდიდარია ემოციური და სოციალურ-კულტურული კონოტაციებით და ამის გამო წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს, აღწერს რა ეპოქისა და კულტურის განწყობებს და საზოგადოებრივ ევოლუციას.

საკვანძო სიტყვები:

გამოთქმა, იდიომა, კონოტაცია, კონტექსტი, დისკურსი, საზოგადოება, სტერეოტიპი.

Фразеология «Цвета» в литературных текстах современных французских писателей

Марине Сиоридзе

Батумский государственный университет

им. Шота Руставели

Департамент гуманитарных наук

Ул. Ниношвили 35, 6010, Батуми, Грузия

Тел.: 599 240 656

E-mail: msioridze@yahoo.fr

Резюме

Исследование показало, что литературные тексты довольно богаты фразеологическими выражениями, содержащими элементы, показывающие цвет, имеющие социально-культурные

коннотации. Социально-культурные коннотации часто связаны со стереотипами, то есть готовыми представлениями. Фразеология является крайне богатой и представляет закодированную и стереотипную сферу данного языка и проявляет особый интерес, так как при помощи лексических средств она передает эволюцию общества. «Стереотип представляет константу, вокруг которой вращаются все определения» (Amossy 9). Лексика Цвета богата эмоциональными и социально-культурными коннотациями и по этой причине представляет особенный интерес для описания чувства и общественной эволюции эпохи и культуры.

Ключевые слова:

выражение, коннотация, контекст, дискурс, общество, стереотип.

ხელოვნების თემატიკა ბოდლერისა და აპოლინერის შემოქმედებაში

თამარ ქაცანაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: 595 223 723
E-mail: t_katsanashvili@yahoo.fr

რეზიუმე

ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში პოეტური ტექსტები აღწერილობით ხასიათს ატარებდა. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ჰომეროსის მიერ აქილევსის ფარის აღწერა „ილიადაში“. პოეზიის დესკრიფციული ბუნება მხატვრობასა და სკულპტურასთან მის მჭიდრო კავშირზე მეტყველებს. ფრანგული პოეზიის მრავალი ნიმუში მოწმობს ამ ორი სფეროს სიახლოვეს. თანამედროვე ფრანგულ პოეზიაში ნახატის ფორმის ლექსებიც კი არსებობს (მაგალითად, აპოლინერის კალიგრამები, მალარმეს კამათლის გაგორება და სხვა). პოეტური ხერხებისა და მეტაფორების წყალობით, პოეზიას ძალუძს „დაგვიხატოს“ უმშვენნიერესი ტილოები. ამ თვალსაზრისით, იგი ლიტერატურის ყველაზე მხატვრულ ქანრად შეიძლება ჩაითვალოს.

ფრანგ პოეტთა შორის, რომელთათვისაც განსაკუთრებით ახლობელია ხელოვნების თემატიკა არიან შარლ ბოდლერი და გიომ აპოლინერი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოდლერი პირველ რიგში ცნობილია, როგორც ბოროტების ყვაველებისა და პარიზის სპლინის ავტორი, იგი არანაკლებ საინტერესო ხელოვნების კრიტიკოსია (რჩევები ახალგაზრდა ლიტერატორებს, ფიქრები ჩემს თანამედროვეებზე...). პოეზიისა და მხატვრობის ურთიერთკავშირის ნიმუშია მისი ლექსი „შუქურები“;

სადაც დელაკრუას, რემბრანდტის, გოიასა და სხვა მხატვართა ტილოებია გაცოცხლებული.

ბოდლერის მსგავსად, აპოლინერისთვისაც ახლობელია ხელოვნების თემა, რასაც არაერთი მისი ნაშრომი ადასტურებს. პოეზიისა და მხატვრობის ურთიერთკავშირის ნიმუშია ლექსი „ფანჯრები“, რომელიც რობერტ დელონეის ამავე სახელწოდების ტილოს ლექსად წარმოგვიდგენს.

ამრიგად, ხელოვნებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფრანგ მწერალთა შემოქმედებაში, ხოლო მხატვრობასა და პოეზიას შორის პარალელების გავლებისას, უამრავი საინტერესო დეტალი იკვეთება.

საკვანძო სიტყვები:

პოეზია, მხატვრობა, შედარება, რეპრეზენტაცია, კრიტიკა.

შესავალი

ევროპულ პოეზიაში მხატვრული ნაწარმოებების კრიტიკასა და ხელოვანთა ცხოვრებისა და შემოქმედების აღწერას მრავალი ნაწარმოები მიეძღვნა. ხელოვნების თემა მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული ფრანგ პოეტთა შემოქმედებასთანაც. მოცემულ სტატიაში საუბარია შარლ ბოდლერსა და გიომ აპოლინერზე, როგორც ხელოვნების კრიტიკოსებზე და პოეტებზე, რომელთა შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მოცემულ თემატიკას ეხება.

ძირითადი ნაწილი

მსოფლიო ლიტერატურასა და პოეზიაში მხატვრობის თემატიკას, კერძოდ, მხატ-

ვრულ ნაწარმოებთა კრიტიკას, მხატვართა ცხოვრებისა და შემოქმედების აღწერას არაერთი ცნობილი ნაწარმოები მიეძღვნა.

მხატვრობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფრანგულ პოეზიაშიც. პოეზიის დესკრიფციული ბუნება ხელოვნების მოცემულ სფეროსთან მის მჭიდრო კავშირზე მეტყველებს. ფრანგული პოეზიის მრავალი ნიმუში მოწმობს ამ ორი დარგის სიახლოვეს. არაერთი პოეტის შთაგონების წყაროდ ქცეულა ესა თუ ის მხატვარი ან რომელიმე კონკრეტული ფერწერული ტილო. ფრანგულ პოეზიაში ნახატის ფორმის ლექსებიც არსებობს.

ფრანგ პოეტთა შორის, რომელთათვისაც მეტად ახლობელია ხელოვნების თემა, არიან შარლ ბოდლერი, გიომ აპოლინერი, პოლ ელუარი, სტეფან მალარმე და სხვები. დღეს ჩვენ ვისაუბრებთ ბოდლერზე და აპოლინერზე, როგორც ხელოვნების კრიტიკოსებზე და პოეტებზე, რომელთა შემოქმედების დიდი ნაწილი დაკავშირებულია ხელოვნებასთან, ძირითადად კი მხატვრობასთან.

ბოდლერმა საკუთარი შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო ხელოვნების კრიტიკას და ამ მიმართულებით მრავალი საინტერესო ნაშრომი შექმნა. ბოდლერი არა მხოლოდ მხატვართა ნამუშევრებს აკრიტიკებს, არამედ მეტად ღირებულ კვლევებს უძღვნის ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ მწერლებსა და მუსიკოსებს. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ნაშრომები, სახელწოდებით: „რჩევები ახალგაზრდა ლიტერატორებს“, „ფიქრები ჩემს თანამედროვეებზე“, ცნობილი ესეე ვაგნერზე და სხვ.

მოცემულ სტატიაში, პირველ რიგში, გვინდა ვისაუბროთ ბოდლერის, როგორც ფერწერული ნამუშევრების კრიტიკოსის შემოქმედებაზე.

ბოდლერს, როგორც ხელოვნების კრიტიკოსს, ძირითადად მისი „სალონებით“ ვიცნობთ. აღსანიშნავია, რომ ფრანგულ ლიტერატურაში მოცემული ჟანრის ფუძემ-

დებლად დიდრო ითვლება. სწორედ დიდროს დამსახურებით შეიძინა აღნიშნულმა ჟანრმა წმიდა მხატვრული დანიშნულება. დიდროს კვალს მოგვიანებით მიჰყვნენ გოტიე, მიუსე და სხვები. ბოდლერის მხატვრულ გემოვნებაზე ჯერ კიდევ პოეტის მამამ და მისმა მეგობრებმა იზრუნეს. ახალგაზრდა შარლი კარგად ხატავდა და ამიტომ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მხატვრობის თემა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მის შემოქმედებაში.

თავდაპირველად, სალონის მიზანი, მანამ, სანამ დიდრო მას შემოქმედებით ჭრილში წარმოგვიდგენდა, გამოფენაზე გასატანი ნამუშევრების პრეზენტაცია იყო პოტენციური დამთვალიერებლისათვის. ბოდლერის პირველი 1845 წლის სალონი ემორჩილება მის მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებს და ამიტომ განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებებით არ გამოირჩევა. პოეტი ჟანრებად აჯგუფებს და მშრალად აღწერს ნამუშევრებს, რომლებმაც მასზე გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინეს. აღნიშნულ სალონს პოეტი იწყებს მისი სათაყვანებელი მხატვრის, დე ლაკრუას მიერ შექმნილი ისტორიული ტილოების აღწერით. პოეტი შემდეგ საუბრობს ტილოზე „მადლენი უდაბნოში“, რომელსაც მოსდევს „მარკ ორლის უკანასკნელი სიტყვები“, „სიბილი ოქროს ტოტით“, „დაცვითა და ქვეშევრდომებით გარშემორტყმული მაროკოს სულთანი“ და ა.შ. აღნიშნულ სალონში ბოდლერი მკაცრად აკრიტიკებს ვერნეს, დეკამპს, ოსულიეს, ფლერის, შეფერს. კრიტიკოსი მოხიბლულია კოროს შემოქმედებით, ხოტბას ასხამს დე ლაკრუას.

კრიტიკის პროცესში ბოდლერი არა მხოლოდ მოსამართლედ, არამედ პედაგოგადაც გვევლინება. იგი განასხვავებს ნამდვილ მხატვრებს – მათ, ვისაც ძალუძთ სული შთაბერონ თავიანთ შედეგებს, ე.წ. „ფოტოგრაფებისაგან“, რომლებიც მხოლოდ რეალობის იმიტაციით არიან დაკავებულ-

ნი. ბოდლერის აზრით, ფერწერულ ტილოს უნდა შეეძლოს დამოვადიერებლის წარმოსახვის, ფანტაზიის გაღვივება. სწორედ უხილავი, იდუმალი, და არა რაიმე კონკრეტული ავლენს შემოქმედის ნიჭს, მის გენიას [Baudelaire. 1976: 305-311].

ბოდლერის სალონები მხატვრულ ელფერს 1846 წლიდან იძენს, როდესაც პოტი აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს მოდერნულობასთან დაკავშირებით. მხატვრულ ტილოთა ტექნიკის ბოდლერისეული ახსნა ნამდვილ პოეტურ ანალიზად იქცევა. სტენდალის ნაწარმოებით „ფერწერის ისტორია იტალიაში“ მონუსხული პოეტისათვის რომანტიზმი მოდერნულობის გამოხატულებად იქცევა. იგი სალონში ამბობს: რომანტიზმი იგივე მოდერნული ხელოვნებაა და ინტიმურობას, სულიერებას, ფერს, უსასრულობისკენ ლტოლვას გულისხმობს, რაც ნებისმიერი მხატვრული ხერხით წარმოჩინდება. ბოდლერი მოდერნულობაში ხედავს ძველთან კავშირის წყვეტის, ინდივიდუალური კვლევის, კრეატივის, ინოვაციის ესთეტიკას. პოეტი ხაზს უსვამს აწმყოს მნიშვნელობას შემოქმედებით პროცესში. მისი აზრით, წარსული აწმყოს მოვლენების ჯაჭვია და მოდელად არ გამოდგება; ხელოვანი არ უნდა მიეჯაჭვოს წარსულს. მოდერნულობა აწმყოს შეილია და სწორედ აწმყო განაპირობებს მის მარადიულობას. ხელოვანის ვალია იყოს მოდერნული. ამავდროულად, მოდერნულობა არ ნიშნავს თანამედროვეობას, ანუ აწმყოთი კმაყოფილებას. იგი უპირველეს ყოვლისა, რეალობის მარადიულობად ქცევაა სილამაზის მეშვეობით [Baudelaire. 1976: 417-419].

რომანტიკოსთა მსგავსად, ბოდლერი მოდერნულობაში ხედავს შემთხვევითობას, დროებითობას, რომელიც უპირისპირდება მარადიულობას. ბოდლერი დროებითში ეძიებს მარადიულს, ცდილობს არსებული რეალობიდან ამოწეროს სილამაზე, რაც მისი პოეზიის პესიმიზმსა და ბოროტების

თემატიკას განაპირობებს. პოეტი ფიქრობს, რომ ესთეტიკა ეთიკის პირში არ არის და სილამაზის პოვნა შესაძლებელია ბოროტებაშიც, რაც პოეტის მოვალეობაა. აქედან გამომდინარე, ბოდლერის პოეზიაში, კონკრეტულად, მის კრებულებში: „ბოროტების ყვაილები“ და „პარიზული ტილოები“ სევდა ისაღვურებს.

1846 წლის სალონში ბოდლერი, როგორც კრიტიკოსი, მხატვრის გვერდით დგას და მიაჩნია, რომ ეპოქაში, როდესაც ხელოვნების შემფასებლები მხოლოდ ბურჟუები არიან, კრიტიკა მოკლებულია ყოველგვარ დიდაქტიკურ ღირებულებებს. ბურჟუა კოლექციონერია და მას მხოლოდ გამზადებული ტილო აინტერესებს, ხოლო ტილოს შექმნის პროცესი, რომელმაც ნამდვილი ხელოვანის ატელიეში, შესაძლოა წლობითაც კი გასტანოს, მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. ბოდლერი მიიხვევს, რომ კრიტიკა ინტერესმოკლებულია შემოქმედისთვისაც, რადგანაც კრიტიკულ ნაწარმოებთა ობიექტები ძირითადად ის მხატვრები არიან, რომლებიც ცოდნასა და გამოცდილებას არა კრიტიკული ნაწარმოების კითხვით, არამედ სახელოსნოში დაუღალავი შრომით იძენენ. ამიტომ, მისი აზრით, კრიტიკის მიზანია არა რომელიმე მხატვრის შემოქმედების სამსჯავროზე გამოტანა, არამედ კრიტიკა, როგორც კრიტიკოსოს შემოქმედების ნაწილი და ამ უკანასკნელის ნიჭის დემონსტრირება.

ბოდლერი მიიხვევს, რომ ჭეშმარიტი კრიტიკოსი უნდა გრძობდეს შემოქმედის მაჯისცემას, მის განცდებს. პოეტი მიიხვევს, რომ კრიტიკულ ნაწარმოებში უნდა იგრძობოდეს ის ტემპერამენტი, რომელსაც ავლენს მხატვარი (იგივე იდეას ვხვდებით ზოლასთანაც). ბოდლერი ხელოვანისთვის აუცილებელ თვისებებზე საუბრისას ორ ტერმინს ასახელებს: ვნებას და გულუბრყვილობას. პოეტის აზრით, ამ ორი თვისებით უნდა იყოს შემკული ნამდვილი მხატვარი. გულუბრყვილობა, ტერმინი, რომელიც ჯერ

კიდევ დიდრომ ახსენა, გულისხმობს მხატვრის სპონტანურობას, ორიგინალობას, საგნების ახლებურად აღქმას. ვინაიდან ხელოვნების ნიმუში უნდა გვიჩვენებდეს შემოქმედის ინდივიდუალიზმს სრულყოფილების ძიების პროცესში, კრიტიკული ნაწარმოების მიზანი სწორედ ამ ინდივიდუალიზმის, შემოქმედის ძირითადი სათქმელის წარმოჩენაა.

ბოდლერისათვის რომანტიზმი მისაღწევი იდეალია. ამიტომაც აღაფრთოვანებს პოეტს დე ლაკრუას შემოქმედება. 1846 წლის სალონის მთავარი ფიგურა სწორედ დე ლაკრუაა. მხატვარი ბოდლერისთვის გმირი და მისაბაძი მაგალითია. პოეტი აღნიშნული სალონის ერთ-ერთ ნაწილში ორ რომანტიკოს ბელადს, დე ლაკრუასა და ჰიუგოს ადარებს ერთმანეთს. ამ უკანასკნელის შეფასებისას იგი საკმაოდ კრიტიკულია და აღნიშნავს, რომ ჰიუგო არის „მეტადრე გამრჯე მუშა, ვიდრე შემოქმედი“ [Baudelaire. 1976:431]. დე ლაკრუაზე საუბრისას კი ავტორი ამბობს, რომ „კარგი მხატვარი დიდი მხატვარი როდია“. მას მიიჩნია, რომ მხოლოდ მხატვრული ტექნიკის ცოდნა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დიდი მხატვარი გერქვას. დე ლაკრუა, მიუხედავად რიგ შემთხვევაში უზუსტობებისა, არასოდეს არის ზედაპირული. მისი შემოქმედება დამთვალიერებლის გულის სიღრმემდე აღწევს და სულიერებაზე მეტყველებს. ბოდლერი ამბობს, რომ დე ლაკრუა ყოვლისშემძლეა მხატვრობაში. მას შეუძლია შექმნას ტილოები როგორც ისტორიულ, ასევე რელიგიურ თემებზე. უმნიშვნელო დეტალების გამოყენებით, მხატვარი ახერხებს გამოხატოს მელანქოლია, ვნება, მორალური ტკივილი... დე ლაკრუა ფერის ნამდვილი ჯადოქარია, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა მისი ცნობილი ტილოები: „ჯვაროსნები კონსტანტინოპოლში“, „ქიოსის სასაკლაო“, „აღჟირელი ქალები“ და ა.შ.

ამრიგად, ბოდლერი დე ლაკრუაში ხედავს სრულყოფილებას. მისთვის გენია,

ნიჭი მხატვრისა იზომება იმ განცდებით, რომელსაც მოცემული შემოქმედის ნამუშევარი ბადებს დამთვალიერებელში. დე ლაკრუას ნიჭის მთავარი საიდუმლოა ჟესტები, მოძრაობები, ფერები, მელანქოლია, სიმსუბუქე, რომელსაც ხელოვანის ნებისმიერ ტილოში ვხვდებით. ბოდლერის განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევს ის, რომ დე ლაკრუა, მოცემული ეპოქის პეიზაჟისტების მსგავსად, რეალობის უსისხლძარღვო იმიტაციას არ გვთავაზობს.

ბოდლერი მხატვრებისაგან რეალობის ტრანსფორმაციას ელის. საკუთარ კრიტიკულ ნაშრომებში იგი თითქმის არ საუბრობს რეალიზმზე. უცნაურია... მაშინ, როდესაც პოეტი ლიტერატურაში აღიარებს ბალზაკს, როგორც მოდერნისტ მწერალს, რომლის ესთეტიკაც მთლიანად რეალისტურია, მისთვის მიუღებელია მხატვრობაში რეალიზმის ფლაგმანის, გუსტავ კურბეს ფერწერა. ბოდლერი არც პრე-იმპრესიონისტების შემოქმედებით არის აღფრთოვანებული. მეტიც, იგი მანეს ასეთი სიტყვებით მიმართავს: „თქვენ ერთადერთი ხართ საკუთარი შემოქმედების უუნარობაში“ [Baudelaire. 1973:497]. მაშასადამე, ბოდლერთან საკმაოდ პარადოქსულ მოსაზრებებს ვაწყდებით. ერთი მხრივ, პოეტი ქადაგებს მოდერნულობის აუცილებლობაზე, მეორე მხრივ, თავად ერთი კონცეფციის ერთგული რჩება.

რაც შეეხება პოეტურ ქმნილებებს, ბოდლერის უამრავი ლექსი პირდაპირ თუ შეფარვით, ეხება მხატვრობას. მაგალითად, სონეტი „მოგზაური ბოშები“ ჟაკ კალოს (1592–1635) გრავიურებს უკავშირდება; ლექსები „ტასო საპყრობილეში“ და „დონ ჟუანი ჯოჯოხეთში“ – დე ლაკრუას ტილოებს; ლექსი „სამკაული“ შესაძლოა კორჟეს, ვატოს ან ინგრესის ტილოებს ეძღვნებოდეს; სონეტი „ცუდი ბერი“, პიზის ფრესკაზე მიგვანიშნებს, ხოლო „ამური და თავის ქალა“ კოლაციუსის (1558–1616) გრავიურამ შთააგონა პოეტს.

ხელოვნების თემაზე შექმნილ პოეზიაში ბოდლერის მიზანი ნახატის აღწერა როდია. უბრალოდ, იგი ცდილობს ლექსით გამოხატოს ის ემოციები, რომელიც ამა თუ იმ ტილოს დათვალიერებისას ეუფლება. ამგვარი შემოქმედებითი მიდგომის ნიმუშია „შუქურები“, სადაც პოეტი მხოლოდ ერთ შემოქმედზე საუბრით არ იფარგლება და ცდილობს პოეზიით გააცოცხლოს სული, რომელიც ლექსში მოხსენიებულმა ხელოვანებმა საკუთარი ნამუშევრების გმირებს შთაბერეს. „შუქურები“ „სკლინისა და იდეალის“ მექვესე ლექსია. აქ ბოდლერი XV-XIX საუკუნეების ევროპული ხელოვნების კორიფეებზე: რუბენსზე, ლეონარდო და ვინჩიზე, რემბრანტზე, მიქელანჯელოზე, პიუჟენზე, ვატოზე, გოიაზე, დე ლაკრუაზე საუბრობს და მათ შემოქმედებას აღწერს.

ლექსის სათაური ჩამოთვლილ ბუმბურაზ მხატვრებთან ასოცირდება, რომელთა ტილოებიც სევდით დათრგუნულ ადამიანებს ბნელ ღამეს უნათებს. პოეტის არჩევანი შემთხვევითი როდია. ისევე როგორც ცხოვრებაში, მოცემული ლექსის პირველ ოთხ სტროფში XVII საუკუნეების ფლამანდიური (რუბენსი, რემბრანტი) და XV-XVI საუკუნეების იტალიური ფერწერის (დავინჩი, მიქელანჯელო) სილამე და ბაღდაძე მუდმივ ურთიერთმონაცვლეობაშია. პიუჟენ და ვატო, ერთი შეხედვით, რეალობის ურთიერთსაპირისპირო სურათებს ხატავენ. სკულპტორი რეალისტურად წარმოგვიდგენს ამქვეყნიურ გარეყვნილებას, ძალადობას, ხოლო ვატოს ფუნჯით მოხაზული ჰაეროვანი სცენების მიღმა სევდა და მეღანქოლია იმალება. გოია ბოდლერისათვის ცხოვრების სიმახინჯეთა მხატვარია, დე ლაკრუა კი, უპირველეს ყოვლისა, ფერის დიდოსტატია.

ლექსის ბოლო სამ სტროფში ბოდლერი მისტიციზმს ეძღვება. აქ არტისტული და პოეტური შემოქმედება აღქმულია როგორც ღტოლვა ადამიანებისა სულიერებისაკენ,

მარადისობისაკენ, ღვთისაკენ.

ამგვარად, ლექსში „შუქურები“ ბოდლერი გვთავაზობს XV-XIX საუკუნეების ევროპული მხატვრობის ერთგვარ სინთეზს. პოეტის მინიშნებები მკითხველის ცნობიერებაში სხვადასხვა ტილოს ამოატივტივებს. მაგალითად, და ვინჩიზე საუბრისას „ჯოკონდას“ უკანა ფონი გვაგონდება, რუბენსზე ეპიზოდით მისი „ანატომიის გაკვეთილი“ გვეშლება თვალწინ, დე ლაკრუას სისხლი მხატვრის ცნობილ ტილოზე „სარდანაპალი“ მიგვანიშნებს. მაგრამ ყოველივე ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარია პოეტის მიერ საოცარი სიმძაფრით აღქმული, მხატვრებისა და სკულპტორების ინტიმური სამყარო, რომლის ერთგვარ პოეტურ სინთეზს ლექსის თითოეული სტროფი იძლევა.

ბოდლერის მსგავსად, გიომ აპოლინერისთვისაც მეტად ახლობელია ხელოვნების, კონკრეტულად მხატვრობის თემა. პოეტი მრავალი კრიტიკული ნაშრომის ავტორია. აპოლინერის „სალონები“ ძირითადად მაშინდელ პარიზულ გაზეთებში ქვეყნდებოდა. აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული პერიოდი ფრანგული კრეატივის მეტად აქტიური და ნაყოფიერი ხანაა. ერთმანეთს ენაცვლება ისეთი მიმდინარეობები, როგორიცაა: ფოვიზმი, კუბიზმი, ფუტურიზმი, აბსტრაქცია, ორფიზმი, დადაიზმი.

შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ აპოლინერი ხელოვნების კრიტიკოსად? უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ეპოქის კრიტიკოსებს, კოლექციონერებსა და ზოგიერთ მხატვარსაც კი ამ კითხვაზე უჭირდათ პასუხის გაცემა. მაგალითად, მალრო და პიკასო მიიჩნევენ, რომ აპოლინერს მხატვრობისა არაფერი გაეგებოდა [Malraux. 1974:176].

ბოდლერისაგან განსხვავებით, აპოლინერი თეორიებს არ აყალიბებს და მხატვრული ტექნიკის ანალიზს არ გვთავაზობს; სამაგიეროდ, წინამორბედის მსგავსად, კრიტიკას ისიც შემოქმედებით ჭრილში განიხი-

ლავს და მასში შემოქმედის გრძობებისა და ვნებების გამოხატულებას ეძებს.

აპოლინერის კრიტიკა სუბიექტურია და ემოციით მიღებულ სიამოვნებაზეა აგებული. ამავედროულად, ვინაიდან პოეტი ძირითადად ჟურნალ-გაზეთებისთვის წერს, მისი კრიტიკული წერილები საკმაოდ ეკლექტიკურია და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს: ფერწერას, სკულპტურას, დეკორატიულ ხელოვნებას ეხება. საუკუნის დასაწყისში აპოლინერი გატაცებულია სიახლის, სილამაზის ძიებით, სილამაზისა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო წარსულთან, რომელიც არ ბაძავს რეალობას და რომელიც ანარეკლია შემოქმედის შინაგანი სამყაროსი. პოეტი აღფრთოვანებულია სიუჟეტისაგან თავისუფალი, ფორმებითა და ფერებით წარმოდგენილი ტილოებით.

მოგვიანებით აპოლინერი საკუთარი გემოვნების ხორცშესხმას კუბისტურ მხატვრობაში პოულობს და კუბისტ მხატვრებსა და მათ ნამუშევრებს არაერთ კრიტიკულ ნაშრომს უძღვნის. მაგალითად, 1913 წელს იგი აქვეყნებს ესსეს: „კუბისტი მხატვრები – ესთეტიკური მედიტაცია“. პოეტი კუბიზმში ხედავს მოდერნულობას, მას ხიბლავს ტილოების გეომეტრიზაცია: „*მხატვარს ისე ესაჭიროება გეომეტრია, როგორც მწერალს გრამატიკა*“ – ამბობს იგი [Apollinaire. 1980:101]. აპოლინერი აგრეთვე მიიჩნევს, რომ დიდ ხელოვანთა ვალია, იყვნენ სიახლის მუდმივ ძიებაში, რადგან, მისი თქმით, „*პოეტებისა და ხელოვანი ადამიანების გარეშე კაცობრიობის ყოფა მონოტონური და მოსაწყენი იქნებოდა*“ [Apollinaire. 1980:123].

აპოლინერი სიახლის მუდმივი მაძიებელია და მისი გემოვნებაც საკმაოდ ფართოა მოდერნული ხელოვნების ფარგლებში. აღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ პოეტი არ აღიარებს წარსულის მნიშვნელობას ხელოვნებაში, უბრალოდ იგი თვლის, რომ ნამდვილმა შემოქმედმა უნდა მიაგნოს „სიწმიდეს, მთლიანობას, ჭეშმარიტებას“ და

ყოველგვარი ნორმებისა და აკადემიური წესებისაგან გათავისუფლებულმა, უნდა შეძლოს ძველის „ახლებურად“, საკუთარი სტილით, ორიგინალური ფორმით წარმოდგენა. საგულისხმოა, რომ აპოლინერი ტერმინს „მოდერნული“ „ახალს“ ამჯობინებს.

აპოლინერის სულიერ სიახლოვეს ხელოვნებასთან მისი მრავალი პოეტური ტექსტი მოწმობს (მაგალითად, მისი კუბისტური პოეზია), რომელთაგანაც ჩვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ლექსზე „ფანჯრები“ და კრებულზე „კალიგრამები“.

ლექსი „ფანჯრები“ 1913 წლით თარიღდება. იგი პირდაპირ კავშირშია მოდერნული მხატვრობის მნიშვნელოვანი ფიგურის, რობერტ დელონეის ამავე სახელწოდების ტილოთა სერიასთან. მაშინ, როდესაც ლექსისა და ნახატების სათაური კონკრეტულ რეალობას უკავშირდება, თავად ფერწერული ტილო შინაარსობრივად სრულიად მოწყვეტილია მას და წარმოდგენილი ფერთა კონტრასტით ერთგვარ არქიტექტურას ქმნის. ტილოს მთლიანი ზედაპირი და ჩარჩო დაფარულია ფიგურატიული ელემენტებით, რომლებსაც მეტნაკლებად გეომეტრიული კონტურები აქვს. ფერთა თამაში დამთვალიერებლის თვალში საოცარ ვიბრაციას იძლევა. მოცემული ტილო მხატვრული გამოხატულებაა თანამედროვე საზოგადოების რითმისა და მოძრაობისა და თანამედროვეობის სრულიად ახლებურ აღქმას გვთავაზობს. ხელოვნების ამ ახალ სტილს სახელწოდება თავად აპოლინერმა შეურჩია და ნაშრომში „ესთეტიკური მედიტაცია“ მას „ორფიზმი“ უწოდა. „ორფიზმი“, იგივე „პუანტილიზმი“ სამი ძირითადი ასპექტის მთლიანობაა. ესენია: ფიგურატიული ელემენტები, რომლებიც მთლიანად მხატვრის ფანტაზიის ნაყოფია, კონსტრუქცია, რომელიც აღნიშნულ ქმნილებებს შინაარსს სძენს და სიუჟეტს ქმნის და ჩრდილთა თამაში, რომელსაც ფერი განაპირობებს. აღნიშნული მხატვრობა აბსტრაქტულია და

მუსიკას გვაგონებს, რასაც მისი სახელწოდებაც მოწმობს. საერთოდ, მოდერნისტი ხელოვანები, მაღარმედან მოყოლებული, აღიარებდნენ მუსიკას, როგორც წმიდა არტისტულ ხელოვნებას. აღნიშნული სახელწოდება პოეტს რობერტ დელონისა და მისი მეუღლის, სონიას განსაკუთრებულად თბილმა ურთიერთობამ შთააგონა. საგულისხმოა, რომ დელონის ეკუთვნის თამამი განმარტებები მოდერნული მხატვრობისა, როდესაც ტილოს შექმნისას მთავარ ამოსავალ წერტილად ფერს ასახელებს. მხატვარი აცხადებს: „ფერია ფორმაც და სიუჟეტიც; ფერია თემაც, რომელიც სახეს იცვლის, ყოველგვარი ანალიზისგან დამოუკიდებლად; ფერი თავად მეტყველებს საკუთარ თავზე და როგორც მუსიკალური კომპოზიციის ნებისმიერ ეპიზოდში, მოყოლებული ბახის ეპოქიდან თანამედროვე ჯაზის ჩათვლით, იგრძნობა მუსიკის ძალა, ასევე ჭეშმარიტი ფერწერული ტილოს თითოეული ეპიზოდი დასტურია ფერის სიდიადისა“.

